ევროკავშირი
საქართველოსთვის

ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის ორგანოში განცხადების შევსების გზამკვლევი სახელმძღვანელო

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

ევროკავშირი
საქართველოსთვის

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისგებელია მხოლოდ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო და შესაძლოა რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

I. შესავალი	**4**
II. ზოგადი კომენტარები	6
ა. დოკუმენტაცია	6
ბ. კონფიდენციალურობა	6
1. ზოგადი ინფორმაცია	**8**
1.1. განმცხადებელი	8
1.1.1. განმცხადებლის უფლებამოსილება	8
1.2. სავარაუდო შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი	9
1.3. შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი ქვეყნების/კომპანიების აღწერა	10
1.4. შესწავლის ობიექტის იმპორტიორები საქართველოში	10
1.5. ადგილობრივი მწარმოებლები, რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ და მომხმარებლები	10
2. სავარაუდო დემპინგი	**11**
2.1. ზოგადი პრინციპები	11
2.2. ნორმალური ღირებულება	11
2.3. საექსპორტო ფასი	15
2.4. ფასების შედარება	17
2.5. დემპინგური ზღვარი	17
3. ზიანი	**18**
3.1. ზოგადი პრინციპები	18
3.2. ზიანის ინდიკატორები	19
4. მიზეზშედეგობრივი კავშირი	**28**
5. დასკვნა	**30**
6. განცხადებაზე სტანდარტული დანართების მაგალითები	**30**

I. შესავალი

2020 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ (შემდგომში – „კანონი“), რომლის აღსრულება ევალება საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – „შესწავლის ორგანო“) და რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა.

2021 წლის 1 ივნისიდან ანტიდემპინგური პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისთვის ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის სამი დადგენილება: „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების შესახებ“ (შემდგომში – „წესი“); „საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის თაობაზე“ და „წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესის შესახებ“.

კანონმდებლობით აკრძალულია ისეთი დემპინგური იმპორტი, რომლის შედეგად ადგილობრივ ინდუსტრიას ადგება მატერიალური ზიანი ან არსებობს ზიანის მიყენების საფრთხე. ამის შესახებ ადგილობრივი ინდუსტრია უფლებამოსილია წესში მოცემული განცხადების შევსებული ფორმით მიმართოს შესწავლის ორგანოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას შესწავლის დაწყების საკითხზე. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს გზამკვლევს სრულყოფილი განცხადების წარდგენისთვის, კერძოდ კი, განმარტავს ამისათვის საჭირო ეტაპებსა და იმ ინფორმაციას, რომელიც, ჩვეულებრივ, შესწავლის ორგანოს ესაჭიროება შესწავლის დაწყების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად.

წინამდებარე გზამკლევი განცხადების წარდგენის პროცესში განმცხადებლებისთვის დამხმარე დოკუმენტს წარმოადგენს და იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამავდროულად, სააგენტო მზად არის, პირდაპირი კომუნიკაციის არხების მეშვეობით გასცეს პასუხი ნებისმიერ კითხვას, რომელიც ამ გზამკვლევში მითითებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით შეიძლება წარმოიშვას.

სააგენტოს საკონტაქტო მონაცემები:

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
154 აღმაშენებლის გამზ.
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2 440 770 (25 02)
info@competition.ge

წესის დანართი 1-ის შევსებული განცხადება უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ შესწავლის ორგანოს ზემოაღნიშნულ მისამართზე უნდა წარედგინოს, რის შემდეგაც შესწავლის ორგანო შეაფასებს მის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას განცხადების წარდგენის დღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 კალენდარული დღით, შესწავლის ორგანოს მიერ განმცხადებლისგან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

ნებისმიერი შესწავლა, რომელიც დაიწყება ჯეროვნად წარმოდგენილი განცხადების შედეგად, მოითხოვს შესწავლის ორგანოსთან ადგილობრივი ინდუსტრიის თანამშრომლობას. სრულყოფილი განცხადების წარდგენის შემდეგ შესწავლის ორგანო შეაფასებს მას და გადაწყვეტს, შეიცავს თუ არა ის prima facie მტკიცებულებებს, რომ არსებობს ქართულ ადგილობრივ ინდუსტრიაზე დემპინგური იმპორტის შედეგად მიყენებული ზიანი ან ასეთის საფრთხე, რათა დაიწყოს შესწავლა.

გასათვალისწინებელია, რომ ეს გზამკვლევი არ წარმოადგენს იურიდიულად მბოჭავი ხასიათის დოკუმენტს. მისი შინაარსი არ არის სავალდებულო, ხოლო განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე. ამდენად, გზამკვლევს აქვს მხოლოდ ზოგადი სარეკომენდაციო ხასიათი და არ არის გამიზნული შესწავლის დაწყებისთვის სტანდარტების დასადგენად და სამართლებრივი განხილვის პროცესებში გამოსაყენებლად.

II. ზოგადი კომენტარები

ა. დოკუმენტაცია

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება უნდა იყოს **სრულყოფილი და ჯეროვანი,** რომელიც უნდა ასახავდეს **საკმარისი მტკიცებულებებით გამყარებულ,** განმცხადებლისთვის **გონივრულად ხელმისაწვდომ საუკეთესო ინფორმაციას.**

შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად მტკიცებულებათა საკმარისობის განსაზღვრისთვის, შესწავლის ორგანო შეისწავლის წარმოდგენილი მტკიცებულებების **სიზუსტესა და შესაბამისობას,** რა დროსაც ის ითვალისწინებს:

- შესაბამის პროდუქტებს;
- ჩართულ სახელმწიფოებს;
- ადგილობრივი ინდუსტრიის სტრუქტურას;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

განმცხადებელმა ნათლად უნდა წარმოადგინოს მისი მონაცემების თითოეული გამოთვლა და წყარო, მათ შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ვებგვერდის ბმულები, ასევე, უნდა მიუთითოს ის პერიოდი, რომელსაც წარმოდგენილი მონაცემები მიემართება. განმცხადებელმა უნდა დაიცვას საავტორო უფლებები.

განცხადების ძირითადი ნაწილი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ისეთ რიცხვებსა და ცხრილებს, რომლებიც არსებითად აუცილებელია. სხვა დეტალური მონაცემები და ცხრილები წარმოდგენილი უნდა იყოს განცხადების დანართებში, ძირითად ნაწილში მასზე შესაბამისი მითითებებით.

ნებისმიერი ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, გამოყენებული გაცვლითი კურსებისა და მათი გამოყენების პერიოდის მითითებით.

სასურველია, განმცხადებელმა, შესწავლის შემდგომი ეტაპებისთვის, შეინახოს ყოველი დოკუმენტი და გამოთვლა.

ბ. კონფიდენციალურობა

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებისა და დებულებების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ წარმოდგენილი განცხადების არაკონფიდენციალური ვერსიის მათთვის გაცნობა. ამდენად, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს მის მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობის მოთხოვნის შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი შესწავლის ორგანოს წარუდგენს დასაბუთებას, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება კონკურენციის პირობებში უპირატესობას მიანიჭებს მესამე პირს ან ამას ექნება უარყოფითი შედეგები ინფორმაციის წარმდგენი პირისთვის ან იმ პირისთვის, რომლისგანაც დაინტერესებულმა პირმა ასეთი ინფორმაცია მიიღო. აღნიშნული არ ეხება საქართველოს კანონმდებლობით ავტომატურ რეჟიმში ცნობილ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

თუკი განმცხადებელს სურს განცხადების რომელიმე ნაწილისა თუ დოკუმენტის კონფიდენციალურად ცნობა, მან, უმჯობესია, ასევე წარმოადგინოს მისი არაკონფიდენციალური ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კონფიდენციალური ინფორმაციის წარდგენა ხდება შემდეგი მონიშვნით – **„კონფიდენციალური“. ეს ეხება ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციასაც, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ავტომატურ რეჟიმშია ასეთად ცნობილი და დაცული.**

დოკუმენტის ვერსია ითვლება არაკონფიდენციალურად, თუ მასში სათანადო წესით დაფარულია პირის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ყველა მონაცემი და მისი გაცემა შესაძლებელია სხვა დაინტერესებულ პირზე ადმინისტრაციული წარმოების მასალის სახით. განმცხადებელს არაკონფიდენციალურ ვერსიაში შეუძლია შეაჯამოს მონაცემები, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს, თუმცა ასახული უნდა იყოს მათი ტენდენციები და დონეები, ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთება ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობის საჭიროებაზე.

შესწავლის ორგანო **უფლებამოსილია,** არ დაეთანხმოს პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის არაკონფიდენციალურ ვერსიას და დამატებით მოსთხოვოს მას მონაცემების სხვა ფორმით დაფარვა ან თავად უზრუნველყოს დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსიის შექმნა და აცნობოს პირს ამის თაობაზე.

სასურველია კონფიდენციალური და არაკონ-ფიდენციალური დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენა მოხდეს არამხოლოდ წერილობით, არამედ, ელექტრონულ ფორმატში (Word-ის ფორმატში ტექსტისთვის, ხოლო Excel-ის ფორმატში გამოთვლებისათვის).

საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს განცხადებაში:
განცხადება ეხება რიგ საკითხებს:

1. ზოგადი ინფორმაცია

- განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- სავარაუდო შესწავლის ობიექტი;
- წარმოშობის ქვეყანა/ები;
- სხვა ცნობილი დაინტერესებული პირები.

2. PRIMA FACIE მტკიცებულებები:

2.1. სავარაუდო დემპინგზე (იხ. სექცია – დემპინგი);
- ფასები და დანახარჯები ექსპორტიორ ქვეყანაში
- საქართველოში საექსპორტო ფასები

2.2. ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებულ მატერიალურ ზიანზე ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეზე (იხ. სექცია– ზიანი);

2.3. სავარაუდო დემპინგსა და მატერიალურ ზიანსა ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირზე (იხ. სექცია – მიზეზშედეგობრივი კავშირი).

გაითვალისწინეთ, რომ შესწავლისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებები უნდა შეესაბამებოდეს **შესწავლის დაწყებამდე არანაკლებ 6-თვიან პერიოდს. ზიანის შესახებ** მსჯელობისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებები უნდა ვრცელდებოდეს შესწავლის დაწყებამდე, სულ მცირე, **3-წლიან პერიოდზე.** შესწავლის ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს განსხვავებული სხვა პერიოდებიც, რაც უნდა დასაბუთდეს შესწავლის დაწყების შესახებ შეტყობინებაში.

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. განმცხადებელი

განმცხადებელი შეიძლება იყოს

- ადგილობრივი ინდუსტრია, რომელიც აწარმოებს შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტს;

ან, ადგილობრივი ინდუსტრიის წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

- ადგილობრივი ინდუსტრიის სახელით მოქმედი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი;
- ადგილობრივი ინდუსტრიის სახელით მოქმედი იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ნებისმიერი გაერთიანება.

ადგილობრივი ინდუსტრია -

- ყველა მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აწარმოებენ მსგავს პროდუქტს, ან
- მსგავსი პროდუქტის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომელთა წარმოების საერთო წილი შეადგენს მთლიანი ადგილობრივი წარმოების ძირითად ნაწილს [რაც არ ნიშნავს a priori 51 %-ს] ; ან
- მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებლების ამავდროულად შესწავლის ობიექტის იმპორტიორებად ან შესწავლის ობიექტის იმპორტიორთან ან ექსპორტიორთან დაკავშირებულ პირებად ყოფნის შემთხვევაში დანარჩენ მწარმოებელთა ერთობლიობა.

განმცხადებელმა უნდა მიუთითოს შესწავლის ობიექტის ექსპორტიორ ქვეყანაში მწარმოებელ ან/და გამყიდველ კომპანიებთან კავშირის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

1.1.1. განმცხადებლის უფლებამოსილება:

განმცხადებლის უფლებამოსილება შესწავლის ორგანოს მხრიდან მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე მოწმდება, რა დროსაც დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორწვეროვანი ტესტი, კერძოდ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია, რომ

ტესტი 1. განცხადება **მხარდაჭერილია** ადგილობრივი ინდუსტრიის **იმ ნაწილის მიერ, რომლის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა** აღემატება განცხადების ექსპლიციტურად მხარდამჭერი ან საპირისპირო აზრის მქონე ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის **50 პროცენტს;** და

ტესტი 2. **მითითებულ მხარდამჭერთა** მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა არ არის ნაკლები **ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მთლიანი მსგავსი პროდუქტის** 25 პროცენტზე.

მაგალითი: *სახეზეა მსგავსი პროდუქტის ორი ადგილობრივი მწარმოებელი „ა“ და მწარმოებელი „ბ“. „ა“ წარმოადგენს 35 პროცენტს ადგილობრივი წარმოებისა, ხოლო „ბ“ – 65 პროცენტს. განცხადება წარმოდგენილია „ა“-ს მიერ.*

სცენარი 1: „ბ“ რჩება ნეიტრალური

ტესტი 1: დაკმაყოფილებულია, რადგან „ა“ წარმოადგენს 100 პროცენტს იმ პირთაგან, რომლებიც გამოხატავენ მხარდაჭერას თუ წინააღმდეგობას განცხადებაზე.

ტესტი 2: დაკმაყოფილებულია, რადგან „ა“ წარმოადგენს 35 პროცენტს მთლიანი ადგილობრივი წარმოებისა.

სცენარი 2: „ბ“ ეწინააღმდეგება განცხადებას

ტესტი 1: არაა დაკმაყოფილებული, რადგან „ა“ წარმოადგენს 35 პროცენტს იმათგან, ვინც გამოხატავს მხარდაჭერას თუ წინააღმდეგობას განცხადებაზე.

ტესტი 2: დაკმაყოფილებულია, რადგან „ა“ წარმოადგენს 35 პროცენტს მთლიანი ადგილობრივი წარმოებისა.

- თუმცა, ორივე შემთხვევაში „მთლიანი წარმოება“ მოიცავს ყველა წარმოებას, ადგილობრივსა თუ საექსპორტო ბაზარზე განკუთვნილს.
- საერთო წარმოების ეს პროპორცია გაანგარიშდება შემდეგ საფუძვლებზე დაყრდნობით:
  - საქართველოში ფიზიკურად განთავსებული წარმოება;
  - ექსპორტიორებთან თუ იმპორტიორებთან არადაკავშირებული მწარმოებლების წარმოება;
  - იმ მწარმოებლების წარმოება, რომლებიც არ ახორციელებენ სავარაუდო შესწავლის ობიექტის იმპორტს სავარაუდო დემპინგური ქვეყნებიდან.

განმცხადებელმა **უნდა მიუთითოს ყველა ცნობილ ადგილობრივ მწარმოებელზე, რომლებიც მხარს უჭერენ ან გამოხატავენ საპირისპირო აზრს** განცხადებაზე, მათი რაოდენობის, საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და, შეძლებისდაგვარად, ამის მიზეზების აღწერით. განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას **ყველა სხვა ცნობილ მწარმოებელზე საქართველოში,** მათი წარმოების მოცულობის შეფასებას განცხადების შეტანამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (იგივე პერიოდი, რაც განმცხადებლისთვის), მიუხედავად იმისა, უჭერს თუ არა ისინი მხარს განცხადებას.

განმცხადებლის უფლებამოსილების შემოწმების მიზნით შესწავლის ორგანო, შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, წერილობით მიმართავს მისთვის ცნობილ ყველა ადგილობრივ მწარმოებელს.

1.2. სავარაუდო შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი

სრულყოფილი განცხადების წარდგენისთვის სავარაუდო დემპინგური პროდუქტის აღწერასა და სწორად განსაზღვრას არსებითი ხასიათი აქვს იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ასეთ პროდუქტზე წარიმართება შესწავლა და შემოიღება ანტიდემპინგური ღონისძიება. სავარაუდო დემპინგური პროდუქტის აღწერა სასურველია, წარმოდგენილი იყოს როგორც მოკლედ, ასევე, ვრცლად და იგი უნდა მოიცავდეს შემდეგი ტიპის ინფორმაციას:

- პროდუქტის სასაქონლო კოდი (სეს ესნ კოდი);
- წარმოების პროცესის შეჯამება, რომელშიც აღნიშნულია, არსებობს თუ არა სხვადასხვა წარმოების პროცესი ქართულ ინდუსტრიასა და ექსპორტიორ ქვეყნებში;
- მოცემული პროდუქტის ძირითადი ფიზიკური, ტექნიკური, ქიმიური და სხვა მახასიათებლები/თვისებები;
- პროდუქტის გამოყენება და მისი ბაზარი. აღწერილი უნდა იყოს ბაზრის ის სეგმენტი, რომელსაც ეკუთვნის პროდუქტი და სხვა შესაბამისი საკითხები, როგორებიცაა:
  - პროდუქტის ხარისხი, ფასი ან სხვა გადამწყვეტი მარკეტინგული ფაქტორი;
  - არის თუ არა ბაზარი დროში ციკლური;
  - როგორია მოთხოვნის ელასტიკურობა;
  - როგორია მომხმარებლის მიერ პროდუქტის აღქმა და ა.შ;
  - მოითხოვება თუ არა ნებართვა პროდუქტის ბაზარზე შესვლამდე;
  - გაყიდვების არხები (როგორ იყიდება პროდუქტი?).

თუ არსებობს მოცემული პროდუქტის სხვადასხვა სახეობა ან ტიპი, განმცხადებელმა ნათლად უნდა დაასაბუთოს, გათვალისწინებულია თუ არა შესაბამისი პროდუქტის ყველა სახეობა პროდუქტის აღწერილობაში. საჭიროების შემთხვევაში განცხადებამ უნდა აჩვენოს, შეიძლება თუ არა ყველა მათგანი განიხილებოდეს როგორც ერთი პროდუქტი შესწავლის პროცესში. ამის დადგენის მიზნით, შესაძლოა საჭირო გახდეს მათი ურთიერთჩანაცვლებადობის ახსნა ინდუსტრიული გამოყენების ან/და საბოლოო მოხმარებისთვის.

1.3. შესწავლის ობიექტის ექსპორტიორი ქვეყნების/კომპანიების აღწერა:

ანტიდემპინგური განცხადება ეხება საქართველოს გარეთ ერთ ან მეტ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის იმპორტს. თითოეული ქვეყნისთვის მითითებული უნდა იყოს ყველა **ცნობილი მწარმოებელი/ექსპორტიორი ფირმის სახელი,** მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირი. თუ დაინტერესებულ ქვეყნებში წარმოშობილი პროდუქტები, ასევე, ექსპორტირდება საქართველოში სხვა ქვეყნის გავლით – გადაზიდვის გზით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ექსპორტიორი ქვეყანა და იქ მოქმედი ცნობილი ექსპორტიორები. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დემპინგში ეჭვმიტანილი ნებისმიერი ქვეყანა უნდა გაანალიზდეს განცხადებაში, დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.

1.4. შესწავლის ობიექტის იმპორტიორები საქართველოში:

განცხადება უნდა მოიცავდეს პროდუქტის ყველა ცნობილი იმპორტიორის ჩამონათვალს საქართველოში, საკონტაქტო დეტალებით: სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირი (თუ შესაძლებელია).

1.5. ადგილობრივი მწარმოებლები, რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ და მომხმარებლები:

განცხადების დანართში მითითებული უნდა იყოს მწარმოებლებისა (რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ) და მომხმარებლების საკონტაქტო ინფორმაცია (მათი ჩამონათვალი და დასახელება, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირი).

2. სავარაუდო დემპინგი

2.1. ზოგადი პრინციპები

დაბალი ფასები არ ნიშნავს დემპინგის არსებობას. დემპინგი წარმოადგენს საექსპორტო ბაზარზე პროდუქტის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდვას.

- **საექსპორტო ფასი** = ექსპორტირებული პროდუქტის EXW ფასი;
- **ნორმალური ღირებულება** = ექსპორტიორის ადგილობრივ ბაზარზე მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტის ღირებულება;
- **დემპინგი** = საექსპორტო ფასი ნორმალურ ღირებულებაზე დაბალია.

განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს პროდუქტის საექსპორტო ფასისა და მისი ნორმალური ღირებულების შედარებისათვის საჭირო მტკიცებულებები.

დემპინგის დადგენისათვის საჭიროა არანაკლებ 6 თვის მონაცემების შეფასება.

ზოგ შემთხვევაში, შესწავლის ობიექტი ჰომოგენურია და მის ფასზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს განსხვავებული სახეობები. ამ შემთხვევაში დემპინგის ერთიანი კალკულაცია საკმარისია დასკვნის მისაღებად.

თუ შესწავლის ობიექტი იმპორტირებულია სხვადასხვა სახით და განსხვავებული ფასებით, არ არის მიზანშეწონილი საშუალო შეწონილი ფასის გამოყენება გამოთვლებში. ამ შემთხვევაში, სასურველია თითოეული პროდუქტის ტიპისათვის დემპინგის ინდივიდუალურად დადგენა, რის საფუძველზეც იქნება გამოთვლილი საშუალო მაჩვენებელი. თუ შესწავლის ობიექტის სახეობების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ინდივიდუალური დემპინგური ზღვრის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, დაშვებულია შესწავლის ობიექტის განსახილველი რაოდენობის შეზღუდვა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნიმუშების შესწავლის პირობით.

2.2. ნორმალური ღირებულება

ნორმალური ღირებულება, ჩვეულებრივ, არის იმ პროდუქტის ღირებულება, რომელიც იყიდება ექსპორტიორის შიდა ბაზარზე შიდა მოხმარებისთვის. სასურველია, ნორმალური ღირებულება დაეფუძნოს შიდა ფასებს ან, სხვაგვარად, პირობით ღირებულებას, რომელიც ეფუძნება წარმოების ხარჯებს დამატებული გაყიდვის ხარჯები და მოგება. სპეციალური დებულებები ვრცელდება პროდუქტებზე, რომლებიც წარმოიშობა არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

> თუ პროდუქტი იწარმოება საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევაში ნორმალური ღირებულება იქნება ექსპორტიორის შიდა ბაზარზე შესაბამისი პროდუქტისთვის დაწესებული ფასი. ეს ფასი უნდა უკავშირდებოდეს შიდა მოხმარებაზე გათვლილ შიდა ტრანზაქციას, დამოუკიდებელ მყიდველთან.

ნორმალური ღირებულება განისაზღვრება EXW ფასებით, ყველა შიდა გადასახადის გამოქვითვით, მაგრამ თუ ეს არაა შესაძლებელი, უნდა მიეთითოს განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი ფასები, რომლებსაც ემყარება განცხადება სავარაუდო დემპინგზე და შეფასდეს, რა უნდა გამოიქვითოს ამ ფასიდან, რათა მიღებულ იქნას EXW ფასი.

ნორმალური ღირებულება = შიდა გაყიდვების ფასი

განმცხადებელმა მოიპოვა პროდუქტის საცალო ფასის მტკიცებულება ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე (ექსპორტიორი ქვეყნის ვალუტის 139,15 ერთეული). ამ საცალო ფასისგან, ფასის წინასწარი შეფასების მოპოვება შესაძლებელია შესაბამისი პუნქტების გამოკლებით, რაც, მაგალითად, შემდეგნაირად შეიძლება: დღგ (10%), საცალო ვაჭრობის მარჯა (10%), საბითუმო ვაჭრობის მარჯა და ტრანსპორტი და დაზღვევა (15%).

პროდუქტი

საცალო ფასი	*ექსპორტიორი ქვეყნის ვალუტა*	139.15

გამოკლებული დამატებითი ღირებულების გადასახადი = 10%.
(კალკულაცია: 139.15/1.10)

	წმინდა სარეალიზაციო ფასი	126.5

საცალო ვაჭრობის მარჯა = 10%. (კალკულაცია: 126.5/1.10)

	საბითუმო ვაჭრობის მარჯა	115

საბითუმო ვაჭრობის მარჯა + ტრანსპორტი და დაზღვევა = 15% (კალკულაცია: 115/1.15)

–	EXW ფასი	100

გაცვლითი კურსი: ექსპორტიორი ქვეყნის 2 სავალუტო ერთეული = 1 ლარი
ნორმალური ღირებულება ლარი 50

საცალო ფასი მიღებულია _____, რომელიც წარმოდგენილია დანართ _____. მარჯა, ტრანსპორტისა და სადაზღვევო ხარჯები მიღებულ იქნა ბაზრის კვლევის შედეგად _____ (ან შეფასებულია _____ საფუძველზე).

გაცვლითი კურსი არის _____ წლის საშუალო. დეტალებისთვის იხილეთ. დანართი.

(ცხრილი 1)

თუ ექსპორტიორის შიდა ბაზარზე არსებული ფასები არ არის ხელმისაწვდომი ან საიმედო (გაყიდვები წამგებიანია ან მათი მოცულობა უმნიშვნელოა), შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროდუქტის პირობითი ნორმალური ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება (ასევე შეიძლება იყოს სავარაუდო) წარმოშობის ქვეყანაში წარმოების ხარჯებს დამატებული გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები და მოგება. განცხადებაში უნდა ჩანდეს ღირებულების ცალკეული ელემენტები და მათი გამოთვლის საფუძველი: მასალა (გამოყენებული ძირითადი ნედლეულის იდენტიფიცირება), პირდაპირი შრომა, წარმოშობის ქვეყანაში ზედნადები და მოგების გონივრული მარჯა, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

პირობითი ნორმალური ღირებულება

პირობითი ნორმალური ღირებულება ექსპორტიორ ქვეყანაში

პროდუქტი

საწარმოო ხარჯები		
ნედლეული	ლარი/ტონა	395
– ნედლეული A (300 ლარი/ტონა)		
– ნედლეული B (25 ლარი/ტონა)		
– ნედლეული C (70 ლარი/ტონა)		
შრომა	ლარი/ტონა	50
– კვალიფიციური შრომა (30 ლარი/ტონა)		
– არაკვალიფიციური შრომა(20 ლარი/ტონა)		
ენერგია 200 კილოვატი, ლარი 0.05/კილოვატი	ლარი/ტონა	10
სხვა საწარმოო ხარჯები	ლარი/ტონა	45
(გთხოვთ მიუთითოთ: ქირა, საიჯარო ცვეთა, მოვლა, შეკეთება და სხვა)		
წარმოების ჯამური ხარჯები	ლარი/ტონა	500
გაყიდვის, ზოგადი, ადმინისტრაციული ხარჯები	ლარი/ ტონა	100
(გთხოვთ მიუთითოთ: ფინანსური, სადაზღვევო, სატვირთო/ სატრანსპორტო, შეფუთვის /ადმინისტრაციული, გაყიდვის, სარეკლამო კვლევა განვითარების, პატენტი/როიალტი, ტექნიკური დახმარება, გარანტიები და სხვა).		
საერთო ღირებულება	ლარი/ტონა	600
ნორმალური მოგება 5%	ლარი/ტონა	30
EXW ნორმალური ღირებულება	ლარი/ტონა	630

იმპორტის რაოდენობა, ნედლეულისა და ენერგიის ხარჯები, რომლებიც მოპოვებულია ინდუსტრიის საერთაშორისო ანგარიშებიდან _____, წარმოდგენილია დანართში _____.

სამუშაო ძალის ხარჯები ემყარება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკას (იხ. დანართი ____)

სხვა საწარმოო ხარჯები და გაყიდვის, ზოგადი, ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც მიღებულია ბაზრის კვლევის შედეგად _____ ან წარმოადგენს შეფასებას, რომელიც ეფუძნება _____. იხილეთ შესაბამისი დანართი _____ .

ნორმალური მოგება არის მინიმალური თანხა, რომელიც საჭიროა ინდუსტრიაში რეინვესტირებისთვის. დეტალებისთვის იხილეთ დანართი ___.

გაცვლითი კურსი არის _____ წლის საშუალო. დეტალებისთვის იხილეთ. დანართი _____.

(ცხრილი 2)

თუ წარმოების ღირებულება ვერ დგინდება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფასი, რომელიც ექსპორტიორმა გამოიყენა მესამე ქვეყანაში მსგავსი პროდუქტის ექსპორტისას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

თუ პროდუქტი ექსპორტირებულია არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან, ნორმალური ღირებულება უნდა დადგინდეს ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში შესაბამის ქვეყანაში მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის შესადარებელ ფასს ან ასეთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, მ.შ. საქართველოში, ექსპორტისას მსგავსი პროდუქტის შესადარებელ ფასს. ეს არის ე.წ. ანალოგიური ქვეყანა, რომელიც განმცხადებელმა უნდა აირჩიოს გონივრული მეთოდით, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების საფუძველზე.

მიზანშეწონილია შერჩევის პროცესი დაიწყოს ყველა შესაძლო ანალოგიური ქვეყნის იდენტიფიცირებით, უნდა შეირჩეს ის ქვეყანა, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება წარმოდგენილ კრიტერიუმებს და სურს თანამშრომლობა შესწავლის პროცესში.

1. **კონკურენცია ბაზარზე** – ანალოგიური საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში პროდუქტის (შესწავლის ობიექტის) ფასები მართული უნდა იყოს ნორმალური საბაზრო ძალების მიერ და არ უნდა იყოს დამახინჯებული ბაზრის იზოლაციით. მაგალითად, ანალოგიურ ქვეყანაში მწარმოებელთა დიდი რაოდენობა მიუთითებს კონკურენციის არსებობაზე;

2. **გაყიდვების საკმარისი მოცულობა** – ანალოგიური ქვეყნის შიდა ბაზარზე მოცემული პროდუქტი წარმოებული და გაყიდული უნდა იყოს საკმარისი რაოდენობით, საქართველოში შესწავლის ობიექტის ექსპორტის მოცულობასთან შედარებით (შესაძლოა მოცულობის 5%–იანი კრიტერიუმის გამოყენება);

3. **მოცემული პროდუქტის და წარმოების შედარება** – წარმოება ანალოგიურ ქვეყანაში უნდა იყოს ექსპორტიორ ქვეყანასთან რაც შეიძლება შედარებადი. ეს ნიშნავს, რომ ანალოგიური ქვეყნის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნედლეულისა და კომპონენტების ხელმისაწვდომობა, წარმოების ტექნოლოგია, პროცესის ტიპი, სპეციალიზაციის ნიმუშები და ა.შ. დასაბუთების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი კორექტირება, რომ გათვალისწინებულ იქნეს ზემოხსენებული ფაქტორების არსებითი განსხვავებები. იმავე წესით, პროდუქტები, რომლებიც წარმოიშვა შესაბამის ექსპორტიორ ქვეყანაში და ანალოგიურ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტები უნდა იყოს იდენტური ან მსგავსი ფიზიკური მახასიათებლებით და გამოყენების მიზნებისათვის. შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი კორექტირებები, რომ მოხდეს სხვაობის გათვალისწინება;

4. **ეკონომიკური განვითარების დონე** – სასურველია ქვეყანა იყოს ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მსგავს დონეზე, რაც გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის შემოსავლების და მოსახლეობის მაჩვენებლები;

5. **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** – სასურველია, რომ ხელმისაწვდომი იყოს მსგავსი პროდუქტის ღირებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (ანალოგიური ქვეყნის შერჩევის პროცესში, ეკონომიკური განვითარების ფაქტორზე პრიორიტეტულად, შეიძლება მონაცემების ხელმისაწვდომობა ჩაითვალოს).

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ ქვეყანა სადაც სავარაუდოდ ხორციელდება დემპინგი (ან დემპინგი დაფიქსირდა ახლო წარსულში) შესაძლებელია არ იყოს კარგი არჩევანი როგორც ანალოგიური ქვეყანა, რადგან ასეთი ვითარება

გულისხმობს ანომალიას ნორმალურ ღირებულებასა და საექსპორტო ფასის ურთიერთმიმართებაში. ამიტომ, უფრო მართებულია სხვა ქვეყნების შერჩევა, სადაც დემპინგი არ განხორციელებულა.

შერჩევის შემდგომ, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შემდეგი მიმართულებებიდან ერთ–ერთზე, რომლებიც ჩამოთვლილია უპირატესობის მიხედვით:

ა) ანალოგიური ქვეყნის შიდა ბაზარზე მსგავსი პროდუქტისთვის დაწესებული ფასი;
ბ) ფასი, რომლითაც ანალოგიური ქვეყნის მსგავსი პროდუქტი იყიდება ექსპორტზე სხვა ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში);
გ) ნებისმიერი სხვა გონივრული საფუძველი, მაგალითად, მსგავსი პროდუქტის საქართველოში რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი. ნორმალური ღირებულება შეიძლება დადგინდეს ამ საფუძველზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ფასის ან პირობითი ღირებულების მეთოდები, რომლებიც ზემოთაა აღწერილი, არ აღმოჩნდება ადეკვატური. ამ შემთხვევაში, ნაჩვენები უნდა იყოს თუ რატომ არ ითვლება ფასი ადეკვატურად და წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში პროდუქტში ფაქტობრივად გადახდილი ან გადასახდელი თანხა.

2.3. საექსპორტო ფასი

საექსპორტო ფასი არის ფასი, რომელიც ექსპორტიორმა დააწესა იმპორტიორებისთვის.

საექსპორტო ფასი ჩვეულებრივ არის პროდუქტის ფასი, რომელიც განკუთვნილია ექსპორტისთვის, გადახდილი ან გადასახდელი პირველი დამოუკიდებელი ქართველი მომხმარებლის მიერ. უმეტეს შემთხვევაში, საექსპორტო ფასი დაეფუძნება ექსპორტიორის მიერ ქართველი იმპორტიორებისთვის დაწესებულ ფასს.

ექსპორტის ფასის მტკიცებულება შეიძლება მიღებულ იქნეს ინდივიდუალური ინვოისით შესრულებული გარიგებების, წერილობითი შეთავაზებების, გამყიდველების ანგარიშების ან შესაბამისი ქვეყნიდან იმპორტის ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე. ასევე, სასარგებლო შეიძლება იყოს იმპორტიორის მიერ საქართველოს საბაჟო ორგანოში დეკლარირებული ფასები.

საექსპორტო ფასი უნდა დაანგარიშდეს ექსპორტიორის EXW დონიდან, გაყიდვებისა და იმპორტს შორის არსებული ხარჯების გამოქვითვით, როგორიცაა: ტრანსპორტი, დაზღვევა, იმპორტის გადასახადი და ა.შ.

პირობითი საექსპორტო ფასი

ზოგიერთ შემთხვევაში, საექსპორტო ფასი უნდა განისაზღვროს იმ ფასის საფუძველზე, რომლითაც იმპორტირებული პროდუქტი პირველად გაიყიდება დამოუკიდებელ მყიდველზე საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუ

- განმცხადებელს არ შეუძლია მოიპოვოს პროდუქტის საექსპორტო ფასები (ახსენით რატომ); ან
- ექსპორტიორი და იმპორტიორი კანონიერად ან დე ფაქტო არიან დაკავშირებული (მაგ: მშობელი/სუბსიდირებული კავშირით); ან
- მათ შორის არის საკომპენსაციო შეთანხმება, ან სხვა მიზეზების გამო ექსპორტიორის ფასი არასანდოა.

ნებისმიერ შემთხვევაში მიზეზები უნდა იყოს წარმოდგენილი.

საექსპორტო ფასის ასაგებად, გთხოვთ, მიუთითოთ:

- საქართველოში დამოუკიდებელ მყიდველზე პირველად გაყიდვის ფასი;
- ყველა ხარჯის ან გადასახადის შეფასება, პროდუქტის ექსპორტიორის EXW ღირებულებაზე დაყვანის მიზნით, მათ შორის:
  - იმპორტიორის გაყიდვების, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (SGA);
  - იმპორტიორის მოგება;
  - ტრანსპორტი, დაზღვევა, დამუშავება, გადატვირთვა და დამხმარე ხარჯები;
  - საბაჟო გადასახადი, ანტიდემპინგური გადასახადი.

პირობითი საექსპორტო ფასის მაგალითი

განმცხადებელმა მოიპოვა საცალო მოვაჭრის მიერ საბითუმო მოვაჭრისთვის/ექსპორტიორისთვის გადახდილი ფასის მტკიცებულება, რომელიც დაკავშირებულია ექსპორტიორთან (134.5 ლარი). ამ ფასიდან, EXW საექსპორტო ფასის დადგენა უნდა მოხდეს შესაბამისი პუნქტების გამოქვითვით, რაც შეიძლება იყოს, მაგალითად, შემდეგი: დღგ (10%), საბითუმო მოვაჭრის გაყიდვის, ზოგადი, ადმინისტრაციული ხარჯები და მოგების მარჟა (10%), ტრანსპორტი და დაზღვევა საქართველოში (2%), საბაჟო გადასახადი (5%), ტრანსპორტი და დაზღვევა საქართველოს საზღვრიდან ექსპორტიორის ქარხნის მიმართულებით (4%).

პროდუქტი	ლარი
მთლიანი საბითუმო ფასი	134. 5
– დამატებითი ღირებულების გადასახადი = 10%. (კალკულაცია: 134.5/1.10)	
წმინდა საბითუმო ფასი	122.3
– საბითუმო მოვაჭრის გაყიდვის, ზოგადი, ადმინისტრაციული ხარჯები და მოგება = 10%.; და ტრანსპორტი და დაზღვევა საქართველოში =2%(კალკულაცია: 122.3/1.12)	
ფასი საბითუმო მოვაჭრეზე, განბაჟებული	109.2
– საბაჟო გადასახადი = 5% (კალკულაცია: 109.2/1.05)	
საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის ღირებულება (საექსპორტო ფასი)	104
– დაზღვევა, ტვირთის გადაზიდვა ქარხანაში = 4% (კალკულაცია:/1.04)	
EXW საექსპორტო ფასი	100

საშუალო ფასი მიღებული ინვოისებიდან (ან კატალოგებიდან, ფასების სიიდან, ბაზრის კვლევიდან და ა.შ) მიღებული საცალო ფასი მოცემულია დანართ _____–ში, იმპორტის ფასი სტატისტიკური მონაცემებიდან (იხ. დანართი _____). ყველა მარჯა, ისევე როგორც დაზღვევა და სატვირთო, მიღებული იქნა ბაზრის კვლევის შედეგად _____ ან შეფასებულია _____— ის საფუძველზე, იხილეთ შესაბამისი დანართის_____.

(ცხრილი 3)

2.4. ფასების შედარება

საექსპორტო ფასსა და ნორმალურ ღირებულებას შორის შესაბამისი და სამართლიანი შედარებისთვის ფასები უნდა შედარდეს პროდუქტის ფიზიკური/ტექნიკური/ქიმიური მახასიათებლების, რეალიზაციის პირობების, აგრეთვე, გაყიდული რაოდენობის გათვალისწინებით. შედარება უნდა გაკეთდეს ვაჭრობის ერთსა და იმავე სტადიაზე, სასურველია EXW დონეზე და მსგავს პერიოდებში.

ფიზიკური მახასიათებლების განსხვავებები: თუ ნორმალური ღირებულების დასადგენად გამოყენებული პროდუქტი არ არის იმპორტირებული პროდუქტის იდენტური, უნდა აღინიშნოს:

- როგორ განსხვავდება ორი პროდუქტი;
- ამ განსხვავებების სავარაუდო გავლენა საბაზრო ღირებულებაზე; ან
- ამ განსხვავებების სავარაუდო გავლენა წარმოების ღირებულებაზე და მოგებაზე.

სხვა განსხვავებები – თუ ცნობილია სხვა განსხვავება ექსპორტიორის შიდა ბაზარზე გაყიდულ პროდუქტსა და საქართველოში ექსპორტირებულ პროდუქტს შორის, რაც გავლენას ახდენს ფასების შედარებაზე (მაგ. ვაჭრობის დონე, იმპორტის გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადები, გაყიდული რაოდენობა, გაყიდვის პირობები, ტრანსპორტირების ხარჯები, შეფუთვა, ვალუტის კონვერტაცია და ა.შ.), გთხოვთ მიუთითოთ:

- განსხვავებების დეტალები; და
- განსხვავებების გათვალისწინება ფასებში.

2.5. დემპინგური ზღვარი

დემპინგური ზღვარი გამოითვლება შემდეგნაირად:
ფასების შედარება: ნორმალურ ღირებულებასა (EXW) და საექსპორტო (EXW) ფასებს შორის მიღებული სხვაობა მას შემდეგ, რაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფასების შედარებაზე.

გამოხატეთ ეს სხვაობა როგორც საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის ფასის (ხარჯები, დაზღვევა და ტრანსპორტირება) პროცენტი.

დემპინგური ზღვრის გამოთვლის მაგალითი (მონაცემები მოცემულია ლარში)

a.	EXW ნორმალური ღირებულება		100
b.	EXW ექსპორტის ფასი		(80)
c.	დემპინგის ოდენობა	a–b	20
d.	საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის ღირებულება		90
e.	დემპინგური ზღვარი (რაოდენობა) როგორც საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის ფასის % პროდუქტის ფასის %		20 '/' 90 = 22%

(ცხრილი 4)

თუ პროდუქტის სხვადასხვა ტიპი/სახეობაა არჩეული, ეს გამოიწვევს დემპინგის სხვადასხვა ზღვარს. იმისთვის, რომ მივიღოთ დემპინგის ერთი ზღვარი, შესაძლებელია მიუთითოთ მთელი პროდუქტის საშუალო, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა გამოთვლა უნდა იყოს მითითებული.

თუ განცხადება ერთზე მეტ ქვეყანას ეხება, დემპინგური ზღვარი ინდივიდუალურად უნდა დაანგარიშდეს ყველა ქვეყნისთვის.

3. ზიანი

3.1. ზოგადი პრინციპები

ზიანის ნაწილი მოიცავს ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ან მისთვის მატერიალური ზიანის მიყენების საფრთხის დემონსტრირებას;

შესწავლის ორგანოს შესწავლის დაწყების მიზნით ესაჭიროება prima facie მტკიცებულებები ზიანთან დაკავშირებით, შესაბამისად, საჭიროა გარკვეული მონაცემების წარდგენა დემპინგური იმპორტით გამოწვეულ სავარაუდო ზიანზე, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დემპინგური იმპორტის მოცულობა და დემპინგური იმპორტის ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე გავლენა;
- დემპინგური იმპორტის ადგილობრივ მწარმოებლებზე გავლენის ანალიზი;

განცხადებაში წარსადგენი ზიანის ძირითადი ინდიკატორები:

- შესწავლის ობიექტის ბაზრის მთლიანი მოცულობა საქართველოში, მათ შორის ცალკე მსგავსი პროდუქტის წარმოების მოცულობა საქართველოში;
- დემპინგური იმპორტის მოცულობა და საბაზრო წილი;
- დემპინგური იმპორტის ფასი;
- გავლენა ფასების შემცირებაზე;
- განმცხადებლის საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთულობის ხარისხი;
- გაყიდვების, ბაზრის წილის და ექსპორტის მაჩვენებლები;
- წარმოებული პროდუქტის გაყიდვების ფასი საქართველოში;
- საქართველოში გაყიდული მსგავსი პროდუქტის წარმოების ღირებულება;
- მოგების მაჩვენებლები;
- დასაქმების მაჩვენებლები;
- განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებლები;
- მარაგების ცვლილება.

შესწავლის დაწყების მიზნით არ არის აუცილებელი, რომ ყველა ფაქტორისათვის წარმოდგენილი იყოს უარყოფითი ტენდენცია (მაგალითად, გაყიდვების მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, ინდუსტრიამ შეიძლება აჩვენოს, რომ ბაზარზე დემპინგური იმპორტით გამოწვეული ფასების შემცირების გამო დაკარგა ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი);

საჭიროების შემთხვევაში, განცხადებაში შესაძლებელია ზიანთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის წარდგენა;

ინფორმაციის წარდგენისას გასათვალისწინებელია:

- ყველა ინდიკატორი უნდა ფარავდეს საქართველოს ტერიტორიას;
- ზიანის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები უნდა ეხებოდეს მხოლოდ განცხადებაში წარმოდგენილ პროდუქტს (ასეთი მონაცემების არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაციის წარდგენა უფრო ფართო ჯგუფისათვის);
- ზიანის განმსაზღვრელი ძირითადი მონაცემები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არანაკლებ სამ წლიან პერიოდზე, გამონაკლისია ფასების შემცირებაზე გავლენის ანალიზი, რომლისთვისაც წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ 6 თვიანი პერიოდის მონაცემები;
- იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო ჯგუფები არ იძლევა შესწავლის ობიექტის იმპორტის ცალკე დადგენის საშუალებას, განმცხადებელმა უნდა დაადგინოს შესწავლის ობიექტის იმპორტის სავარაუდო მოცულობა, საბაზრო მონაცემების, ექსპორტიორი ქვეყნის სტატისტიკის ან სხვა წყაროების საფუძველზე.

3.2. ზიანის ინდიკატორები

გასათვალისწინებელია, რომ პირველი ოთხი ინდიკატორი წარმოადგენს მთლიანად საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებას, ხოლო დანარჩენი ინდიკატორები ეხება განცხადების მხარდამჭერი მწარმოებლების შეფასებას.

<u>შესწავლის ობიექტის ბაზრის მთლიანი მოცულობა საქართველოში, მათ შორის, ცალკე მსგავსი პროდუქტის წარმოების მოცულობა საქართველოში</u>

გაყიდვებისა და წარმოების მაჩვენებლები შედარებული უნდა იყოს საქართველოში მოხმარების მაჩვენებლებთან. წარმოდგენილი მონაცემები, შეიძლება ეფუძნებოდეს ბაზრის კვლევებს, სტატისტიკურ მონაცემებს და ა.შ. ასევე შეიძლება გამოითვალოს წარმოდგენილი ორი მეთოდით:

<u>მეთოდი 1</u>

	წელი	1	2	3
ა)	ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მსგავსი პროდუქტის მთლიანი წარმოება			
ბ)	მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტი			
გ)	მსგავსი პროდუქტის მთლიანი ექსპორტი			
დ)	სავარაუდო მოხმარება საქართველოში (ა+ბ–გ)			
ე)	მარაგების მოცულობების ცვლილების მაჩვენებელი			
ვ)	რეალური მოხმარება საქართველოში (დ–ე)			

წყარო: იმპორტ– ექსპორტის სტატისტიკა

ა) ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მსგავსი პროდუქტის მთლიანი წარმოება – მოიცავს როგორც განმცხადებლების, ასევე, სხვა მწარმოებლების წარმოების მაჩვენებლებს. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი გამოყენებულია კომპანიის შიდა საწარმოო/მოხმარების პროცესში უნდა მიეთითოს მისი რაოდენობა;

ბ) მთლიანი იმპორტი – მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტი საქართველოში, რომელიც მოიცავს დემპინგურ იმპორტსაც. თუ სასაქონლო კოდი არ იძლევა პროდუქტის ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას, საჭიროა სავარაუდო მაჩვენებლების წარმოდგენა;

გ) მთლიანი ექსპორტი – მსგავსი პროდუქტის ექსპორტის მაჩვენებლები. თუ სასაქონლო კოდი არ იძლევა პროდუქტის ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას, საჭიროა სავარაუდო მაჩვენებლების წარმოდგენა;

დ) მარაგების მოცულობების ცვლილების მაჩვენებელი – საწყის და საბოლოო ეტაპზე (პერიოდის დასაწყისში და ბოლოში) არსებულ მარაგებს შორის განსხვავება (განმცხადებლები და სხვა მწარმოებლები). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სავარაუდო მონაცემების წარმოდგენა.

მეთოდი 2

	წელი	1	2	3
ა)	ადგილობრივი მწარმოებლების გაყიდვები საქართველოს ბაზარზე			
ბ)	მთლიანი იმპორტი			
გ)	მოხმარება საქართველოში (ა+ბ)			

წყარო: იმპორტ– ექსპორტის სტატისტიკა

ა) **ადგილობრივი მწარმოებლების გაყიდვები საქართველოს ბაზარზე** – მოიცავს როგორც განმცხადებლების, ასევე, ყველა სხვა მწარმოებლის გაყიდვების მაჩვენებელებს საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი გამოყენებულია კომპანიის შიდა საწარმოო/მოხმარების პროცესში უნდა მიეთითოს მისი რაოდენობა;

ბ) **მთლიანი იმპორტი** – მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტი საქართველოში, რომელიც მოიცავს დემპინგურ იმპორტსაც. თუ სასაქონლო კოდი არ იძლევა პროდუქტის ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას, საჭიროა სავარაუდო მაჩვენებლების წარმოდგენა.

მოხმარება საქართველოში			
წელი	1	2	3
მოხმარება საქართველოში			
ინდექსი		—	—

(ცხრილი 5)

დემპინგური იმპორტის მოცულობა და საბაზრო წილი

- აღნიშნული მოცულობა მოიცავს მხოლოდ შესწავლის ობიექტის დემპინგური იმპორტის მაჩვენებელებს, საქართველოში მოხმარების მონაცემებში გამოსახული ერთეულით (ტონა, ფასი, ა.შ.);
- საბაზრო წილი საქართველოში მოხმარების მიმართ პროცენტული მაჩვენებლით გამოითვლება (თითოეული ექსპორტიორი ქვეყნისათვის ცალ–ცალკე).

$$\frac{\text{დემპინგური იმპორტის მოცულობა}}{\text{მოხმარება საქართველოში}} \times 100$$

დემპინგური იმპორტის მოცულობა			
წელი	1	2	3
ექსპორტიორი ქვეყანა "A"			
ინდექსი	100	—	—
ექსპორტიორი ქვეყანა "B"			
ინდექსი	100	—	—
ა.შ.			
დემპინგური იმპორტის მთლიანი მოცულობა			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 6)

დემპინგური იმპორტის საბაზრო წილი			
წელი	1	2	3
ექსპორტიორი ქვეყანა "A"	%	%	%
ექსპორტიორი ქვეყანა "B"	%	%	%
ა.შ.	%	%	%
დემპინგური იმპორტის მთლიანი საბაზრო წილი	%	%	%

(ცხრილი 7)

დემპინგური იმპორტის ფასი

- იმპორტის ფასების ცვლილება შესაძლოა წარმოადგენდეს დემპინგური იმპორტის მიერ ფასებზე განხორციელებული ზიანის ინდიკატორს;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შესაძლოა სამი მეთოდის გამოყენება (შემოთავაზებული მეთოდები არ გამორიცხავს სხვა გზების გამოყენებას ფასების ტენდენციის დემონსტრირებისათვის):

- დემპინგური იმპორტის ფასი შეიძლება დადგინდეს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის საშუალო ღირებულების საფუძველზე (არ მოიცავს საბაჟო მოსაკრებლებს);
- საქართველოს ბაზარზე გაყიდვების ფასის ცვლილების შეფასება შესაძლებელია პროდუქტის შესაბამისი ტიპის შეფასებით. ეს მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი არ არის ჰომოგენური და სხვადასხვა სახით იყიდება;
- დემპინგური იმპორტის ფასების დემონსტრირებისათვის შესაძლებელია ნებისმიერი წყაროს გამოყენება, როგორებიცაა კერძო ან საჯარო კვლევები, ბაზრის კვლევები, გაყიდვების ანგარიშები და ექსპორტიორი ქვეყნების სტატისტიკა. საქართველოში გადაყიდვის ფასის ტენდენციის შეფასება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაყიდვის ხარჯები და მოგება არ მერყეობს.

დემპინგური იმპორტის ფასი (ერთეულზე)			
წელი	1	2	3
ექსპორტიორი ქვეყანა "A"			
ინდექსი	100		
ექსპორტიორი ქვეყანა "B"			
ინდექსი	100		
ა.შ.			
დემპინგური იმპორტის საშუალო ფასი (ერთეულზე)			
ინდექსი	100		

(ცხრილი 8)

გავლენა ფასების შემცირებაზე

ფასების შემცირებაზე დემპინგური იმპორტის გავლენის დადგენისათვის საჭიროა დემპინგური იმპორტის გაყიდვების ფასის შედარება განმცხადებლების გაყიდვების ფასებთან;

წარმოდგენილი შედარებისათვის საჭიროა არანაკლებ 6 თვის მონაცემების შეფასება. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ტენდენციის დემონსტრირება;

მტკიცებულებების წარმოდგენა შესაძლებელია ქვემოთ მოცემული სამი გზით, თუმცა ეს არ ზღუდავს სხვა შესაფერისი მეთოდის გამოყენებას. შედარება უნდა განხორციელდეს პროდუქტის მსგავს სახეობებს შორის, შესაბამისი პერიოდების გათვალისწინებით და შესაბამისი სავაჭრო ოპერაციის სტადიაზე (საცალო ან საბითუმო დონეზე), სასურველია EXW ფასის დონეზე:

- დოკუმენტური მტკიცებულებები (განფასება, საფასო შეთავაზებები, ინვოისები, გაყიდვის ანგარიშები და ა.შ), რომ იმპორტირებული პროდუქტი საქართველოს ბაზარზე გაყიდულია უფრო დაბალ ფასად, ვიდრე განმცხადებლების მიერ გაყიდული მსგავსი პროდუქტი.

- შესწავლის ორგანოს მიერ შესწავლის ობიექტის რაოდენობის ან ექსპორტის შესაფასებელი მოცულობის შეზღუდვის შემთხვევაში (წესის მე-8 მუხლის, მე-11 პუნქტი), ფასების გავლენის დადგენისათვის გამოიყენება დემპინგის დადგენისათვის შერჩეული პროდუქტის სახეობები. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტური მტკიცებულებები და შერჩეული პროდუქტის წარმომადგენლობითობის დასაბუთება;
- შედარება შეიძლება განხორციელდეს იმპორტის სტატისტიკის საფუძველზე, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის ღირებულების (ხარჯები, დაზღვევა და ტრანსპორტირება) საშუალო შეწონილი ფასის (დამატებული იმპორტირების შემდგომი ხარჯები) და განმცხადებლის EXW ფასის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ შესწავლის ობიექტის სასაქონლო კოდი უფრო ფართო კატეგორიისაა, მიზანშეწონილი არ არის ამ მეთოდის გამოყენება;

ფასების შემცირების ზღვარი გამოიხატება საქართველოში განმცხადებლის მიერ შესწავლის ობიექტის გაყიდვის ფასის პროცენტული მაჩვენებლით და გამოითვლება:

$$\frac{\text{განმცხადებლის გაყიდვების ფასი} - \text{დემპინგური იმპორტის გაყიდვების ფასი}}{\text{განმცხადებლის გაყიდვების ფასი}} \times 100$$

განმცხადებლის ფასების შემცირება			
წელი	1	2	3
ექსპორტიორი ქვეყანა "A"	ინფორმაციის წარმოდგენა არასავალდებულოა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში		
ექსპორტიორი ქვეყანა "B"			
ა.შ.			

(ცხრილი 9)

განმცხადებლის საწარმოო სიმძლავრის დატვირთულობის ხარისხი

განმცხადებლების მიერ საქართველოში წარმოებული პროდუქტის მთლიანი მოცულობა (ტონა, ცალი, ა.შ.), მითითებული უნდა იყოს:

- შიდა მოხმარებისა ან გაყიდვისათვის (კომპანიის შიგნით ან შვილობილი კომპანიისათვის მიყიდვის შემთხვევაში) განხორციელებული წარმოების მოცულობა;
- მსგავსი პროდუქტის სხვა მწარმოებლისგან შესყიდვის შემთხვევაში, შესყიდული პროდუქტის მოცულობა.

საწარმოო სიმძლავრე წარმოადგენს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მსგავსი პროდუქტის მოცულობას (ტონა, ცალი, ა.შ.), რომლის წარმოების რესურსიც გააჩნია განმცხადებელს;

საწარმოო სიმძლავრის დატვირთულობა გამოითვლება წარმოებული პროდუქტის მთლიანი მოცულობის მაჩვენებლის გაყოფით საწარმოო სიმძლავრეზე და გამოხატულია პროცენტული მაჩვენებლით.

ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ინდივიდუალურად თითოეული განმცხადებლისთვის, ასევე, ერთიანად ყველა განმცხადებლის მონაცემებით.

საწარმოო სიმძლავრის დატვირთულობის ხარისხი			
წელი	1	2	3
მთლიანი წარმოება			
ინდექსი	100	—	—
საწარმოო სიმძლავრე			
ინდექსი	100	—	—
საწარმოო სიმძლავრის დატვირთულობა (მთლიანი წარმოება/ წარმოების შესაძლებლობა)	%	%	%

(ცხრილი 10)

განმცხადებლის გაყიდვების, ბაზრის წილის და ექსპორტის მაჩვენებლები

- განმცხადებლების მიერ არადაკავშირებულ მომხმარებლებზე საქართველოში გაყიდული პროდუქტის მოცულობა (ტონა, ცალი, ა.შ.) და ღირებულება ლარში (EXW ფასის დონეზე); აუცილებელია პროდუქტის გაყიდვის სავაჭრო სტადიის მითითება;
- განმცხადებლების მიერ შიდა მოხმარებისათვის განხორციელებული გაყიდვების მოცულობა;
- ექსპორტზე გატანილი პროდუქტის მოცულობა და ღირებულება ლარში.
- საბაზრო წილი, გაყიდული პროდუქტის მოცულობის, საქართველოში მოხმარებაზე გაყოფით მიღებული პროცენტული მაჩვენებელი.

განმცხადებლის გაყიდვები საქართველოში			
წელი	1	2	3
მთლიანი გაყიდვები (მოცულობა)			
ინდექსი			
მთლიანი ბრუნვა			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 11)

განმცხადებლის საბაზრო წილი			
წელი	1	2	3
საბაზრო წილი საქართველოში			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 12)

განმცხადებლის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის გაყიდვების ფასი საქართველოში

- გაყიდვების ფასი წარმოადგენს განმცხადებლის მიერ წარმოებული ერთეული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე გაყიდვის საშუალო ფასს (EXW დონეზე);
- საშუალო ფასი გამოითვლება:

$$\frac{\text{მსგავსი პროდუქტის წმინდა ბრუნვა (EXW დონეზე)}}{\text{მსგავსი პროდუქტის გაყიდვების მოცულობა}}$$

- შესწავლის ორგანოს მიერ შესწავლის ობიექტის რაოდენობის ან ექსპორტის შესაფასებელი მოცულობის შეზღუდვის შემთხვევაში, სასურველია შერჩეული პროდუქტი ემთხვეოდეს ფასების შემცირებაზე გავლენის ნაწილში წარმოდგენილ პროდუქტებს.

წარმოებული პროდუქტის გაყიდვების ფასი საქართველოში			
წელი	1	2	3
გაყიდვის ფასი საქართველოში			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 13)

განმცხადებლის მიერ საქართველოში გაყიდული მსგავსი პროდუქტის წარმოების ღირებულება

- გაყიდული პროდუქტის წარმოების ღირებულება მოიცავს წარმოების მუდმივ და ცვლად ხარჯებს (ცვეთის ხარჯის ჩათვლით), ასევე გაყიდვების, ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს (SGA), რომელიც გამოთვლილია საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე, EXW დონეზე;
- რეკომენდირებულია კომპანიის ფინანსური ანგარიშების სისტემაში გამოყენებული მეთოდით ხარჯების და კალკულაციის დეტალების წარმოდგენა.

განმცხადებლის მიერ საქართველოში გაყიდული მსგავსი პროდუქტის წარმოების ღირებულება			
წელი	1	2	3
წარმოების საშუალო ღირებულება			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 14)

განმცხადებლის მოგების მაჩვენებლები

- განმცხადებლის საშუალო მოგების მაჩვენებელი გამოითვლება:

$$\frac{\text{საქართველოში პროდუქტის გაყიდვის მოგების (წაგების) მაჩვენებელი}}{\text{საქართველოში მსგავსი პროდუქტის ბრუნვა}} \times 100$$

- მოგების მაჩვენებელი გამოითვლება განმცხადებლის მიერ არადაკავშირებულ მომხმარებლებზე გაყიდული პროდუქტით მიღებული წმინდა მოგებით (გადასახადების გადახდამდე), რომელიც გამოხატულია პროდუქტის ბრუნვის მიმართ პროცენტული მაჩვენებლით;
- სამართლიანი კონკურენციის აღდგენის მიზნით, ადგილობრივი ინდუსტრიისათვის საჭირო ფასის დასადგენად, მითითებას საჭიროებს მოგების ზღვარი, რომელიც საჭიროა გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (შეიძლება წარმოადგენდეს დემპინგურ იმპორტამდე მიღებული მოგების ზღვარს);
- მოგების ზღვარი ემატება ერთეული პროდუქტის წარმოების ღირებულებას, რის საფუძველზეც გამოითვლება საქართველოს ბაზრისათვის სამიზნე ფასი;
- სამიზნე ფასისა და დემპინგური იმპორტის გაყიდვის ფასის (ზემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) შედარების და საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას პროდუქტის ღირებულების (ხარჯები, დაზღვევა და ტრანსპორტირება) მიმართ პროცენტული მაჩვენებლით გამოსახვის საფუძველზე გამოითვლება ზიანის ზღვარი:

$$\frac{\text{განმცხადებლის სამიზნე ფასი-დემპინგური იმპორტის გაყიდვების ფასი}}{\text{საექსპორტო ფასი}} \times 100$$

განმცხადებლის მოგება			
წელი	1	2	3
მოგება			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 15)

განმცხადებლის დასაქმების მაჩვენებლები:

- პროდუქტის წარმოების, ადმინისტრირებისა და დისტრიბუციის მიზნით, განმცხადებლის მიერ დასაქმებულთა რაოდენობა (სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა), ასევე ინფორმაცია დროებით დასაქმებულებზეც.

განმცხადებლის დასაქმების მაჩვენებლები			
წელი	1	2	3
დასაქმება			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 16)

განმცხადებლის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებლები:

- ინვესტიცია არის კაპიტალური ხარჯების თანხა, რომელიც შესაბამისი პროდუქტის წარმოების უზრუნველყოფისათვის დაიხარჯა ქონებაზე, მოწყობილობებსა და აღჭურვილობაზე.

განმცხადებლის ინვესტიციები			
წელი	1	2	3
დასაქმება			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 17)

მარაგების ცვლილება:

- პროდუქტის მოცულობა, რომელიც შენახულია გასაყიდად, შიდა მოხმარებისა ან გაყიდვებისათვის, ადგილობრივი ინდუსტრიის მარაგების მოცულობა წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული წლის დასაწყისისა და 12 თვიანი პერიოდის ბოლოს არსებული მონაცემებით (სეზონურობის მითითებით).

მარაგების ცვლილება				
	წარმოებული პროდუქტის მარაგი		**შეძენილი პროდუქტის მარაგი**	
	მოცულობა	**ღირებულება**	**მოცულობა**	**ღირებულება**
პირველი წლის ბოლო				
მეორე წლის ბოლო				
მესამე წლის ბოლო				

(ცხრილი 18)

ასევე, შესაძლებელია ზიანის საფრთხეზე ინფორმაციის წარმოდგენა:

- დემპინგური იმპორტის მაჩვენებლების ზრდა;
- ექსპორტიორების წარმოების შესაძლებლობების მაჩვენებელები;
- ექსპორტიორის ბაზრის სტრუქტურული ცვლილებები;
- სხვა ქვეყნებში ექსპორტის განხორციელების ბარიერები ექსპორტიორებისათვის;
- ექსპორტიორის მარაგები

4. მიზეზშედეგობრივი კავშირი

დემპინგური იმპორტის გავლენა

- ზიანზე არსებული მონაცემების წარმოდგენის გარდა, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს რომ ზიანი გამოწვეულია დემპინგური იმპორტით, უნდა დადგინდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი. ეს არ ნიშნავს, რომ დემპინგური იმპორტი ერთადერთი მიზეზი უნდა იყოს;
- მიზეზშედეგობრივი კავშირის დემონსტრირება შესაძლებელია დემპინგური იმპორტის მოცულობის ზრდის, ფასებზე გავლენის და ადგილობრივი ინდუსტრიაზე არსებული ზიანის პერიოდების დამთხვევით.

სხვა ფაქტორების გავლენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ასევე, საჭიროა სხვა ფაქტორების გათვალისწინება, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის გაუარესებაზე. მაგალითისთვის:

- არადემპინგური იმპორტის ფასი და მოცულობა;
- განმცხადებლების გარდა, ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოებისა და გაყიდვების მაჩვენებლები;
- მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა და ფასები;
- ბაზარზე მოთხოვნის შემცირება და მოხმარების ტენდენციის ცვლილება;
- უცხოელ და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენცია ან კონკურენციის შემზღუდველი პრაქტიკა;
- ტექნოლოგიური განვითარება;
- ადგილობრივი ინდუსტრიის მწარმოებლურობის ხარისხი და ექსპორტის მაჩვენებლები.

განმცხადებლის ექსპორტის მაჩვენებელი			
წელი	1	2	3
მოცულობა			
ინდექსი			
ღირებულება			
ინდექსი			

(ცხრილი 19)

საქართველოში სხვა მწარმოებლების წარმოება (განმცხადებლების გარდა)			
წელი	1	2	3
წარმოების მოცულობა			
ინდექსი	100		

(ცხრილი 20)

სხვა მწარმოებლების გაყიდვების მაჩვენებლები			
წელი	1	2	3
გაყიდვების მაჩვენებელი			
ინდექსი	100		

(ცხრილი 21)

სხვა იმპორტიორების იმპორტის მოცულობა და ფასები			
მოცულობა **წელი**	1	2	3
ექსპორტიორი ქვეყანა "X"			
ინდექსი	100	—	—
ექსპორტიორი ქვეყანა "Y"			
ინდექსი	100	—	—
ა.შ.			
სხვა ქვეყნები			
ინდექსი	100	—	—
სხვა ქვეყნების მთლიანი მოცულობა			
ინდექსი	100	—	—
ფასი **წელი**	1	2	3
ექსპორტიორი ქვეყანა "X"			
ინდექსი	100	—	—
ექსპორტიორი ქვეყანა "Y"			
ინდექსი	100	—	—
ა.შ.			
სხვა ქვეყნები			
ინდექსი	100	—	—
სხვა ქვეყნების იმპორტის საშუალო ფასი			
ინდექსი	100	—	—

(ცხრილი 22)

5. დასკვნა

- დასკვნაში, მოკლე მიმოხილვის საფუძველზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ძირითადი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს დემპინგის, მატერიალური ზიანისა და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობაზე;
- დასკვნაში განმცხადებელმა უნდა მოითხოვოს ანტიდემპინგური შესწავლის ინიცირება, წარმოდგენილი მტკიცებების შესწავლის მიზნით;
- განცხადება უნდა გაიგზავნოს შესწავლის ორგანოში, განმცხადებლის სახელით მოქმედი პირის ხელმოწერილ წერილთან ერთად.

6. განცხადებაზე სტანდარტული დანართების მაგალითები

დანართი 1.1. ადგილობრივი ინდუსტრია და განმცხადებლის უფლებამოსილება

- ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების მოცულობა განცხადების შეტანამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში ან/და 12 თვის პერიოდში, განცხადების შემოტანამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე. კალკულაციები გამყარებული უნდა იყოს მონაცემების წყაროს მითითებით, შესაბამისი ასლების დართვით და გამოყენებული მეთოდოლოგიის ახსნით;
- განმცხადებელთა სია საკონტაქტო ინფორმაციით (სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო პირი) და როგორც თითოეული, ასევე, ერთად აღებული განმცხადებლების წარმოების მოცულობა უკანასკნელ კალენდარულ წელს და 12 თვის პერიოდში, განცხადების შემოტანამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე;
- ყველა სხვა ცნობილ ადგილობრივი მწარმოებლების სია (სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო პირი), მათი წარმოების მოცულობის სავარაუდო შეფასება განცხადების შეტანამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში. თუკი თქვენთვის ცნობილია მათი პოზიცია განცხადებაზე, აუცილებელია მიუთითოთ, უჭერენ თუ არა ისინი მხარს განცხადებას, ეწინააღმდეგებიან თუ ნეიტრალურები რჩებიან.

დანართი 1.2. სავარაუდო შესწავლის ობიექტი

- ბროშურები, წარმოების პროცესები, დოკუმენტები (სტანდარტები), საქართველოში წარმოებული მსგავსი პროდუქტის სხვადასხვა ნიმუში და ფოტო;
- ანალოგიური სავარაუდო დემპინგურ პროდუქტზე, რომელიც იმპორტირებულია საქართველოში;
- ანალოგიური მსგავს პროდუქტზე, რომელიც უცხო სახელმწიფოს ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

დანართი 1.3. ექსპორტიორი კომპანიები

- ქვეყნების მიხედვით, შესწავლის ობიექტის ცნობილ მწარმოებელთა/ექსპორტიორთა სია საკონტაქტო ინფორმაციით: სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო პირი;
- ქვეყნების მიხედვით, მწარმოებელთა/ექსპორტიორთა ცნობილ ასოციაციათა სია, ანალოგიური საკონტაქტო ინფომრაციით;

დანართი 1.4. იმპორტიორები

- ქვეყნების მიხედვით, ცნობილ იმპორტიორთა სია საკონტაქტო ინფორმაციით: სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო პირი;
- იმპორტიორთა ცნობილ ასოციაციათა სია, ანალოგიური საკონტაქტო ინფორმაციით.

დანართი 1.5. ადგილობრივი მწარმოებლები, რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ და მომხმარებლები

- ადგილობრივ მწარმოებელთა (რომლებიც შესწავლის ობიექტს წარმოების პროცესში იყენებენ), მომხმარებელთა და მათი ასოციაციების სია საკონტაქტო ინფორმაციით: სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, საკონტაქტო პირი.

შენიშვნა: გთხოვთ, წარმოადგინოთ ყველა საკონტაქტო ინფორმაციის ელექტრონული ვერსია, სასურველია Excel ფორმატში.

დანართი 2.1. შესწავლის ობიექტის განსახილველი რაოდენობის შეზღუდვა

- შერჩეული პროდუქტის სახეობებზე ტექნიკური და სტატისტიკური ინფორმაცია.

დანართი 2.2. ნორმალური ღირებულება

<u>ადგილობრივი ფასების გამოყენების შემთხვევაში:</u>

- ინვოისები, შეთავაზებები, კვლევები, რეკლამები, სტატისტიკა და ა.შ., რომელიც მიუთითებს ადგილობრივ ფასებზე;
- ფასების კორექტირების მტკიცებულება (საბაზრო კვლევები და სხვა სანდო წყაროები).

<u>არასაბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში:</u>

- ანალოგიური ქვეყნის შერჩევის მხარდამჭერი ნებისმიერი ინფორმაცია, მაგალითად:
  - ბაზარზე კონკურენციასთან დაკავშირებით (ბაზარზე მოთამაშეები, მსგავსი პროდუქტის იმპორტის ოფიციალური სტატისტიკა და ა.შ);
  - ბაზრის მოცულობა (საბაზრო კვლევების მონაცემები);
  - წარმოების პროცესი (ინფორმაცია კვლევებიდან, სტატიებიდან და ა.შ.).

<u>სხვა შემთხვევაში:</u>

- პირობითი ნორმალური ღირებულების მონაცემების წყარო (საბაზრო კვლევები, სტატისტიკა), ან
- მიმწოდებლის მიერ მესამე ქვეყანაში ექსპორტის ფასის მტკიცებულებები (ინვოისები, შეთავაზებები, სტატისტიკა და ა.შ.)

დანართი 2.3. საექსპორტო ფასი

- ინვოისები/საფასო შეთავაზებები, სტატისტიკური მონაცემები და სხვა (გაყიდვების ანგარიშები, განფასება).
- ფასების EXW დონეზე დადგენის (ძირითადად ტრანსპორტირების ხარჯები) საფუძვლები და კორექტირების მტკიცებულებები;

დანართი 2.3. ფასების შედარება

- ფასების კორექტირების მტკიცებულება ან შეფასების საფუძველი.

დანართი 3.1. ზიანი

- მტკიცებულებები ზიანის ფაქტორებზე, კერძოდ კი ადგილობრივი ინდუსტრიის ფასებსა და მოგებაზე.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №154
ბიზნესცენტრი „მწვანე ოფისი“
(032) 2 440-770
info-gca@competition.ge
www.competition.ge

დაბეჭდილია ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების
განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) მიერ